

ნინო ჯაველიძე

ექვნიშვილი ფილოლ. მეცნ. დოქტორს,
ბიზანტინოლოგ ნელი მახარაძეს

„ბერძენთა სიყუარული“ და „ბერძენთა მეფის სახელეულობა“

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის გაშუქება იწყება XIX საუკუნიდან. ამ პრობლემის შემსწავლელ ავტორთაგან უნდა დავასახელოთ პლ. იოსელიანი (1810-1875) - გამოკვლევა ქართული ეკლესიის ისტორიისა და მისი ცალკეული საკითხების, დ. ბაქრაძე (1826-1890) - მიეზანი კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ უძველესი ძეგლების მიხედვით, ალ. ცაგარელი (1844-1929) - ქართული ხელნაწერების გამოვლენა-აღწერა წმ. მიწასა და სინას მთაზე, მ. ჯანაშვილი (1855-1934) - შრომები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, აგიოგრაფიის, ლიტურგიის შესახებ, ალ. ხახანაშვილი (1866-1912) - შტუდიები სასულიერო დარგში, ნ. მარი (1864-1934) - ნაშრომი „წმ. გრიგოლის მიერ სომეხთა, ქართველთა, აზნაურთა და ალანთა გაქრისტიანება“, ე. თაყაიშვილი (1862-1953) - ქართლის მოქცევის წყაროთა გამომზეურება, ს. გორგაძე (1862-1953) ნაშრომი - „ეკლესია და სახელმწიფო ძველ საქართველოში“ და მისთ. კვლევა-მიეზანი გრძელდება დღემდე და სამეცნიერო ლიტერატურის შენამენს წარმოადგენს არაერთი მკვლევრის (მეუფე ანანია (ჯაფარიძე), ე. ჭელიძე, ს. ვარდოსანიძე, გ. მაჭარაშვილი...) საყურადღებო ნაშრომები. ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მიზანი არ გახლავთ შუა საუკუნეების საქართველოს სასულიერო სფეროში მიმდინარე პროცესებისა და უმაღლესი რანგის სასულიერო პირთა მოღვაწეობის შეფასება. ჩვენ არ განვიხილავთ არც საკითხს იმის თაობაზე, რომ ბიზანტიის იმპერია მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მესვეურთა მიერ მოიაზრებოდა მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად, რომლის „ოიქუმენის“ ნაწილად, ვფიქრობთ, მართებულად განვიხილებოდა საქართველოს სამეფოც (პაპასკირი, 2009, გვ. 158-180. ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ რა გავლენა ჰქონდა მართლმადიდებლობას ერთიანი საქართველოს მეფეთა მიერ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე, ანუ რა სარწმუნოებრივ ტრადიციას ეფუძნებოდა ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში ქართველი ერის მრწამსი, სულიერება და ცნობიერება.

ამა თუ იმ ერთა და ეთნოსთა განვითარების შესწავლისთვის, გარდა წერილობითი თუ დოკუმენტური წყაროების და სხვადასხვა სახის არტეფაქტებისა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეფეთა, ისტორიულ პირთა, ეკლესიის უმაღლეს იერარქთა ანდერძებს. ამათგან, მეფის ანდერძი გახლავთ ღვთივკურთხეული საჭეთმპყრობელის ხედვა ერისა და ბერის სამარადჟამო განვითარებისა.

მოგვყავს ამონარიდი ერთი ანდერძიდან: „... აწ გამცნებ თქუენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედასდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალს დიდება მოიგოთ“, ცოტა ქვემოთ კი გრძელდება: „სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, და სიყუარულსა ბერძენთა

ნუ დაუტეობთ”. ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის ამ ნაანდერძევიდან კარგად ჩანს, თუ რა სახელმწიფოებრივი იდეო-ლოგიის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ქართველთა ეროვნული სულიერება - გორგასლისთვის ბერძენთა რწმენის - ქალკედონიანობისთვის ზურგშექცევა, მისი უარყოფა უტოლდებოდა სამშობლოს („სახლის“) ღალატს. გორგასალი ქართლის მომავალ მეფეებს უანდერძებს არა ზოგადად ქრისტიანობის აღიარებას, არამედ მართლმადიდებლური ქრისტიანობის მტკიცედ დაცვას! თუ რამ განაპირობა ანდერძში ამ თეზის წინ წამოწევა, ჩანს გორგასლის დროინდელ სამეფოში შექმნილი ვითარებით. უკვე საბოლოოდაა გაყოფილი ერთმანეთისგან დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა, რაც განმტკიცდა და გაფორმდა ქალკედონის კრებით (451 წ.). ესაა ხანა, როცა ქართლის სამეფოში მომრავლებულიყო მონოფიზიტობა, მანიქეველობა და ა.შ. მწვალებლობები. თანაც იყო შემთხვევები, ეპისკოპოსად მოვლენილი მოგვები ქართველ ერში ქრისტიანობის ნაცვლად ავრცელებდნენ „სჯულსა თვსსა“, ანუ ცეცხლის მსახურებას.

სწორედ ასეთ დროს, ამ არეული ვითარებისას ქართლის მეფე გამოკვეთილად მიემხრო დიოფიზიტობას და დაადგა მართლმადიდებლობის გზას. ცხადია, ვახტანგ გორგასალი ვერ დასჯერდებოდა ქართველი ერის ოდენ ფიზიკური ყოფისთვის ზრუნვას. იგი თავის შთამომავლობას უანდერძებს არა მხოლოდ სამშობლოს დაცვას, გნებავთ, „ერის ხორციელი ეკლესიის“ სიმრთელის შენარჩუნებას, არამედ მისი ნება გულისხმობს, მემკვიდრე მეფეებმა ერი უნდა შეაკავშირონ „ერთ სულ“, რათა იგი განვითარდეს ჭეშმარიტი აღმსარებლობის საფარქვეშ. ამას წუხდა ვახტანგ გორგასალი თავისი ზეობის ბოლოჟამს, ამას ტოვებდა ანდერძად: მართლმადიდებლობა (ბერძენთა სიყვარული) კვლავაც უნდა გაძლიერებულიყო და გაბატონებულიყო სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დონეზე – მირიან მეფის დროს გაჩენილი ტრადიცია შეუფერხებლივ უნდა გაგრძელებულიყო.

მოიპოვება თუ არა ჯუანშერის თხზულებაში რაიმე ცნობა, ან მინიშნება, რაც შესაძლოა ცხადყოფდეს, რომ ვახტანგ გორგასალი მართლმადიდებლობას განიხილავდა როგორც ერისა და ბერის სულიერ-ზნეობრივი არსებობის ერთადერთ საყრდენს?!

სპარსეთის ხელისუფლება ქართლისგან ითხოვდა, რომ სამეფოში თავისუფლად გავრცელებულიყო მაზდეანობა. ამგვარ მოთხოვნათა შორის ჯუანშერი ასახელებს საგდუხტ დედოფლის მამის, ბარზაბუდის გადაწყვეტილებას მცხეთაში ცეცხლის მსახურთა და მაზდეან „ეპისკოპოსთა“ გამოგზავნის თაობაზე. თანაც, არავის უნდა ჰქონოდა უფლება ხელი შეეშალა მაზდეანობის გავრცელებისთვის. მოგვთა ეპისკოპოსი მართლაც შეუდგა საქმიანობას და მას „წვრილი ერი მრავლად მოუქცევია საკუთარ რჯულზე“, ოღონდაც მემკვიდრე აღნიშნავს, რომ ბინქარან ეპისკოპოსი „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვსსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი...“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 326). ე.ი. ამ ცნობიდან ჩანს, რომ, მიუხედავად სპარსთაგან ძლიერი ზეწოლისა, მიუხედავად მაზდეანი ეპისკოპოსის გამალებული საქმიანობისა, ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცე-

ლებულა მხოლოდ დაბალ ფენებში – უაზნოთა შორის, ხოლო „აზნაურნი დიდ-დიდნი“ ანუ წარჩინებულნი „არვინ ერჩდნენ“ მოგვთა ეპისკოპოსს და რწმენა არავის შეუცვლია, არავის უღალატია მართლმადიდებლობისთვის.

ჯუანშერის თხზულებაში კვლავაც მოიპოვება ცნობა, საიდანაც ჩანს, თუ რას ნიშნავდა მართლმადიდებლობა ქართლის საზოგადოებისთვის. ვახტანგ გორგასალი მხედართმთავრობს გაერთიანებულ ლაშქარს, რომელიც შედგება ქართველ-სომეხ-სპარსელი მეომრებისგან და მიემართება საბერძნეთს საბრძოლველად. იგი სამხრეთი მიწებიდან მიაღებდა „პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვს კიდესა“, იბრძვის სამ თვეს და შემდგომ წინ მიიწევს კონსტანტინის ქალაქამდე. ჯუანშერის წყაროში წერია, რომ ზოგნი მეომარნი, თუკი გზადაგზა იპოვნიდნენ ეკლესიის მსახურთ, ყველას კლავდნენ. ამის გამო ვახტანგ მეფემ „ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა სპარსთა“, რომ არავინ მოეკლათ მოწესეთაგან, არამედ ისინი მხოლოდ დაეტყვევებინათ. მეფე საკუთარ ნებას ხსნის ამგვარად: **„მამის მამა ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა... ესევეთარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა“** (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.160).

ამ ცნობიდან ორი რამ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, ცხადდება, რომ ვახტანგ გორგასალი ამ მოთხოვნით მიმართავს მხოლოდ სომხებსა და სპარსელებს – მართლაც, გაერთიანებული ლაშქრიდან არ სახელდებათ საკუთრივ ქართველი მეომრები! აქედან ჩანს, რომ ქართველები არ მონაწილეობდნენ ბერძენ „ეკლესიის მსახურთა, მოწესეთა“ ზოცვისას, ე.ი. ქართველთა სპამ იცოდა, რომ ბერძენი ბერ-მონაზვნები არ უნდა მოეკლა. მეორეც, ირკვევა, რომ ასეთი მოპყრობა ბერძენ მოწესეთა მიმართ არ გაჩენილა ვახტანგ გორგასლის დროს, არამედ იგი V საუკუნის ქართლის სამეფოში უკვე ტრადიციად ყოფილა ქცეული და ამ დამოკიდებულების საწყისი მომდინარეობდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების დროიდანვე, ანუ პირველი ქრისტიანი მეფის, გორგასლის მამის მამა მირიანის ხანიდან¹. ამიტომაცაა, რომ V საუკუნეში ქართველი მოლაშქრენი ითვალისწინებდნენ ტრადიციად ქცეულ მოპყრობას ბერძენი ხუცეს-მონაზვნებისადმი და მათ საომარი მოქმედებისას არას ვნებდნენ. ყოველივე ცხადყოფს – ვახტანგ გორგასლის ზეობისას ქართველებს გათვითცნობი-ერებული ჰქონდათ, რომ მათ ბერძნებთან მყარად აკავშირებდა საერთო მრწამსი – მართლმადიდებლობა. აკი ათქმევინებს კიდევაც ჯუანშერი ვახტანგ გორგასალს: „ჩვენცა ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესა, რომელი არს ღმერთი ჭემმარიტი ყოველთა“!

თუმცა ამით არ ამოიწურება ცნობები ვახტანგ გორგასლის დროს „ბერძენთა სიყვარულის“ საკითხის თაობაზე. ნაწარმოებში „წამებაჲ რაჟდენისი“ ხაზგასმულია, რომ V საუკუნის ქართლის სამეფოში, მიუხედავად

¹ ქართული წყაროებიდან ცხადდება, რომ ქართლის სამეფოს ოფიციალურად გაქრისტიანების დროსვე საფუძველი ეყრება ორ ტრადიციას. პირველი – წმ. ნინომ ქართველ მეფეს, მთავრებსა და ერს დაუწესა წმ. გიორგის გამოსახულებიანი დროშის შექმნა და ეს წესი უნდა არსებულიყო „მარადის“; მეორე – მეფე მირიანს დაუკანონებია ქართველთაგან „ბერძენი მოწესეების“ ხელშეუხებლობა, რაც მუდამ სრულდებოდა.

სპარსთა მმლავრობისა, ქართველნი არათუ შეუპოვრად იცავდნენ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, არამედ იყო შემთხვევები, სხვა რელიგიის აღმსარებელნი უარყოფდნენ საკუთარ რწმენას და ქრისტიანებად ინათლებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი გაქრისტიანებული ცეცხლთაყვანისმცემელი გახლდათ გორგასლის ცოლის მამა მძუმე რაჟდენი, ვინც შეეწირა კიდევაც რჯულის შეცვლას. მისი მოწამეობრივი ცხოვრების აღმწერი შენიშნავს: „აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიმძნეს ურიცხვთა მხედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეთა ზედა და უფროსად ბერძენთა მიმართ; ხოლო ჩუენ ქართუელთა მიმართ ამისთჳს, რამეთუ ეძვინებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობა და ესე იყო ნება მათი, რათა ჩუენთა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა” (საბინინი, 1882, გვ. 172]. როგორც ვხედავთ, ვახტანგ გორგასლის მეფობისას სპარსელების ბრძოლა ქრისტიანთა წინააღმდეგ „იყო დიდი” და ამ ბრძოლისას მათ ჰქონიათ დაუცხრომელი მტერობა „უფროსად ბერძენთა” მიმართ, ანუ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ვინაიდან ქართველებიც მართლმადიდებელნი იყვნენ და ჰქონდათ სიყვარული ბერძენთა, ამიტომ სურდათ სპარსელ მმართველებს ბერძენთა და ქართველთა ერთმანეთთან დაპირისპირება. ამ მაგალითით ჩანს, რომ ქართლის მეფე უფროხილდებოდა და იცავდა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენას - „ბერძენთა მიმართ სიყვარულსა და ერთობას”.

ერთი სიტყვით, ვახტანგ გორგასლის ზეობისას განვითარებული მოვლენებიდან ირკვევა, რომ მეფის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ეფუძნებოდა ქალკედონიანობას (მართლმადიდებლობა), რაც წარმოადგენდა ერისა და ბერის სულიერების ქვაკუთხედს. ამასთან, ეს მსოფლადქმა, ანუ ქართველთა და ბერძენთა ერთიან „სჯულსა ზედა” აღმსარებლობა V საუკუნეში უკვე ტრადიციულად ჩამოყალიბებული მოვლენაა, რისი ძირები სათავეს იღებს საქართველოში ქრისტიანული სამოციქულო ეკლესიის გაჩენის დროიდან.

VI საუკუნეში ქართველთა ზნეობრივ-სულიერი განვითარება ასევე საზრდოობდა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული მრწამსით. თანაც, აღსანიშნავია, რომ მეფე-მთავრები ჭეშმარიტი სარწმუნოების განმტკიცებისას კვლავაც აწყდებოდნენ ათასი ჯურის მწვალებელთა წინააღმდეგობას, ვინც აღწევდნენ საეკლესიო იერარქიაში და „წესის შემშლელად” გვევლინებოდნენ. ეს დასტურდება არაერთი ისტორიული ცნობით. გორგასლის დროს ქართლში გავრცელებულ მანიქელოზსა და მონოფიზიტობას მოგვიანებით ემატება ნესტორიანელობა. მოსახლეობაში ჭეშმარიტი სარწმუნოების განმტკიცების მიზნით იქმნება სასულიერო ლიტერატურა, სადაც ქრისტიანობისთვის წამებულნი სხვათა სამაგალითოდ აღიარებულნი არიან გმირებად. ამგვარი ტრადიციის გაჩენა მით უფრო ჩანდა საშური, რომ მრავალგვარი სექტის მოძალებას ვერ უმკლავდებიან სასულიერო პირნი და ისინიც ექცევიან მწვალებლობის გავლენის ქვეშ. ჯუანშერის თქმით, V საუკუნეში, „ვახტანგისამდე” გარდაცვლილ ეპისკოპოსთა შორის „წესსა ზედა ჭეშმარიტსა” იყვნენ რვანი, ხოლო „სხუა” ოთხნი განეკუთვნებოდნენ „წესის შემშლელთა” რიცხვს, ანუ თვით ეპისკოპოსებიც

ყოფილან გაყოფილნი მართალი აღმსარებლობის მიმდევართა და უარ-მყოფელთა დაჯგუფებებად. ამ მწვალეებლებს, როგორც ვთქვით, VI საუკუნეში შეუერთდნენ ნესტორიანელები, რომელნიც თანდათან იმდენად გაძლიერებულან, რომ ეს მოვლენა შეუმჩნეველი არ დარჩენია სომეხთა კათალიკოსს და შეშფოთება გამოუთქვამს ამის გამო. ქართველ სასულიერო მმართველებს ბოლოს და ბოლოს მწვალეებელ-ნესტორიანელები განუკვეთიათ ეკლესიიდან და შეუჩვენებიათ კიდეც.

სწორედ ასეთ დროს სამეფოში შემოდიან ასურელი მამები, სინამდვილეში - ანტიოქელი ქალკედონიანი ბერები, რომელთაც უნდა განეახლებინათ „სჯულის განმწმედი“ და „განმანათლებლური“ მოღვაწეობა, ასურელ მამათა და ქართლის წარჩინებულთა მეოხებით მწვალეებლური მიმდინარეობანიც დაძლეულ იქნა და ქალკედონურმა მიმართულებამ, ჭეშმარიტმა მრწამსმა მოიპოვა უპირატესობა - ქვეყანამ უარყო ერისთვის დამღუპველი იდეოლოგიური საფრთხე. ეს მოვლენა ოფიციალურად გაფორმდა 608 წლის ქართველ-სომეხთა კრებაზე, რის შემდგომაც შეწყდა ამ ორი ერის სარწმუნოებრივი კავშირი - ქართველნი შეურყეველნი დარჩნენ ვახტანგ გორგასლის ნაანდერძევი სულიერი გზისა. ეს პროცესები კარგად ჩანს VI საუკუნის ავტორის, პროკოპი კესარიელის ნაამბობიდან. მისი თქმით, „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა, 1965, გვ. 45).

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული სამყაროს უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე საქართველო იმდროისთვის წარმოადგენდა დასაყრდენს დასუსტებული ბერძნული იმპერიისთვის, რომელსაც საფრთხეს უქმნიდნენ სხვადასხვა სახის მწვალეებლები (Иоселиани, 1843, с. 22) და როდესაც ბერძენი მწერალი „იბერებს“ უქმნის სარწმუნოებას, ეს ნიშნავს, რომ ქართლში მართლმადიდებლობამ საგრძნობლად მოიცვა მოსახლეობა.

ქართლის მსგავსად ეგრისის სამეფოში, ბერძნული წყაროებით „ლაზიკე“-ში, ერთადერთ, ჭეშმარიტ აღმსარებლობას წარმოადგენდა მართლმადიდებლობა. იმის გამო, რომ VII-VIII საუკუნეებამდე ეგრისი მოქცეული იყო საბერძნეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში, აქ განვითარებული მოვლენები, უპირველესად, დაცულია ბერძნულენოვან წყაროებში. იმავე პროკოპი კესარიელის ცნობით, ეგრისის მკვიდრნი „არიან ძველითგანვე ქრისტიანები, სხვებზე უფრო მეტი ქრისტიანები“ (გეორგიკა, 1965, გვ. 125-128).

სწორედ ამგვარი ძველითგანვე ყველაზე მეტ ქრისტიანებად წარმოგვიდგებიან ქართველები ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან, სადაც მოთხრობილია „ლაზიკეში“ გადასახლებული, მართლმადიდებლობისთვის ნაწამები მაქსიმე აღმსარებლის ბოლო დღეები. აქ ქართველები ნახსენები არიან მრავალგზის და ისიც თვალსაჩინოვდება, თუ როგორი აღფრთოვანებით ახასიათებს მათ ავტორი. ანასტასი ყოველთვის ამკობს ქართველტომელებს, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს.

ასე, მაგალითად, ტექსტში ვკითხულობთ: „ქრისტესმოყვარე ლაზთა ქვეყანა“ „ლაზთა ქვეყნის ქრისტესმოყვარე პირები“, „ქრისტესმოყვარე აბაზგიის ქვეყანა“, „იქაური ქრისტესმოყვარე მმართველები“, „აბაზგიის

ქრისტესმოყვარე მთავრები”, „ქრისტესმოყვარე კაცი, აბაზგიის მმართველი”, „ქრისტესმოყვარე აბაზგების... მახლობლად”, „ლაზთა ქვეყნის ჭეშმარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკიოსი და მაგისტროსი”... გეორგიკა, 1941, გვ. 41, 45, 46, 47, 50). მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, რომ საბერძნეთიდან (სადაც VII საუკუნის II ნახევარში მოძალებულებიყვნენ მონოთელიტი მწვალებლები), კონსტანტინე პოგონატის მიერ (641-668 წ.წ.) ეგრისის სამეფოში გაძევებულმა მაქსიმე აღმსარებელმა და მისმა ორმა თანამოაზრემ ქართველთაგან, ვინც წარმოჩენილნი არიან ჭეშმარიტ მართლმადიდებლებად, ჰპოვეს სრული მხარდაჭერა და თანადგომა. სხვაგვარად, მართლმადიდებლობისთვის დევნილი ბერძნები „ლაზთა ქვეყანას”, „აბაზგების ქვეყანას”, „მისიმიანის მხარესა” და „აფსილიას” არ მოიხსენებდნენ როგორც ქრისტესმოყვარე ქართველებით (აფხაზები, მისიმიანნი, აფშილები, ეგრისელები) დასახლებულ ქვეყნად. მართლაც ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ VII საუკუნის ეგრისის სამეფოს მცხოვრებლებში მართლმადიდებლობა იყო ფესვგადგმული და მწვალებლობისთვის ასპარეზი არ უნდა დარჩენილიყო. ეს რომ ასეა, ირკვევა წერილის სხვა ნაწილიდანაც. მაქსიმე აღმსარებლის თანამებრძოლი ანასტასი აპოკრისიარი ჰყვება, რომ მისი წერილის წასაღებად „ლაზიკეში“ გამომგზავრებულმა წმინდა სტეფანემ, „როგორც სულიერმა ცხენმა მოირბინა მთელი ლაზიკე, აფსილია და აბაზგია და უშიშრად ქადაგებდა როგორც ჭეშმარიტების, ისე შემოტანილი ახალი მიმართულების შესახებ და მათ (ქვეყნის მცხოვრებლებმა) დიდი ხალისით და სიამოვნებით მიიღეს იგი, პატივი სცეს და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს”. ე.ი. კიდევ ერთხელ წარმოჩნდება, რომ ეგრისის სამეფოს მკვიდრნი იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებმაც დიდი პატივით მიიღეს ასევე მართლმადიდებელი ბერძენი სტეფანე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი, ვითარცა „სულიერი ცხენი“ ვერ მოირბენდა მთელ დასავლეთ საქართველოს და ვერც „იქადაგებდა უშიშრად” მართლმადიდებლობისა და ახალი მიმართულების (მონოთელიტობა) შესახებ. დაბოლოს, ერთიც უნდა ითქვას, ქართველთა სიმტკიცემ მართლმადიდებლური აღმსარებლობისა გამო ანასტასი აპოკრისიარს ისიც ათქმევინა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუკი ზოგიერთნი მისი ღვთისმოყვარული თანამემამულენი წამოვიდოდნენ „ლაზიკე“-ში და აქ დარწმუნდებოდნენ თუ „რა არის ჭეშმარიტება და რა არის მისი მაგიერი”, თანაც, გაკვირვებით კითხულობს, „თუკი ზოგიერთი ჰიბერიაში მიდიან, რატომ აქაც არ მოდიან“-ო.

ერთი სიტყვით, VII საუკუნის ეგრისის და ქართლის სამეფოები, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობაში იყვნენ ისეთნიც, ვინც ქრისტიანობისგან „გარდაგვლარმნილან მძლავრებით, შეტყუვლით, სიყრმესა შინა უმეცრებით, მზაკვრებით”, ისეთნიც, ვინც „ირყეოდნენ ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა”, მაინც მიემართებოდა სწორი გზით, ანუ „ჩვეულებისაებრ მამულისაჲ სვლითა”. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც მართლმადიდებლობა წარმართავდა „ქრისტეს სიყვარულითა და შიშით” ქართველთა სულიერ ცხოვრებას. ამიტომაც შენიშნავს VIII საუკუნის მწერალი იოანე საბანისძე, რომ აბომ აფხაზეთს (დასავლეთი საქართველო) იხილა „ქვეყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ

ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა“ (საბანისძე, 1981, გვ. 120, 128). ამ ერთი წინადადებით ნაჩვენებია, რომ ქართველთა სულიერება და წეს-ჩვეულებანი ეფუძნებოდა ჭეშმარიტ აღმსარებლობას – მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და დასავლეთ საქართველოს შესახებ გამოთქმული ამ აზრით გაცხადებულია ქართველთა ზოგადეროვნული სულიერების სახე, მთელი ერის სულიერი ცხოვრება. ქართველმა მეფეებმა შეძლეს დაემკვიდრებინათ იდეოლოგია, რომლის მიხედვით, ქართველი ერი გახდა ქრისტეს „მართალი“ მადიდებელი. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქართველი ერის სარწმუნოებრივი ისტორიის განვითარების შესახებ VIII საუკუნიდან მოყოლებული, მეტადრე კი X-XI საუკუნეში რომ საბოლოო ჩამოყალიბებული მკაცრი ე.წ. მართლმადიდებლობა გაბატონდა, ამ ხანაში ამ საკითხის წარსულზეც გარკვეული, უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნეული მოძღვრება ჩამოინაკვთა და დაკანონდა... საქართველოში ხალხმა პირველიდან მიღებული ქადაგება და მოძღვრება ვითომც უცვლელად და შეუბღალავად დაიცვა“... (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 342]. ე.ი., მკვლევრის თქმით, უკვე X საუკუნეში „მკაცრი ე.წ. მართლმადიდებლობა“ იყო „ჩამონაკვთული და დაკანონებული“, რისი მოვლა-პატრონობაც სამეფო კარის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკის გარეშე შეუძლებელი ჩანდა. მართლაც, ეს „მკაცრი“ იდეოლოგია გახდა საფუძველი იმისა, რომ საზოგადოებაში, გორგასლის დროინდელ წარჩინებულთა გენეტიკურ და სულიერ მემკვიდრეებში საბოლოოდ მომწიფდა აზრი ქვეყნის სახელმწიფოებრივი გაერთიანების, ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნისა. ეს სახელმწიფოებრივი აზროვნება საისტორიო წყაროებში წარმოჩენილია იოანე მარუშისძის, „კაცი ძლიერი და ერმრავალი“-ს სახით, ვინც, ჩვენი აზრით, სიმბოლურად უნდა განასახიერებდეს X საუკუნის ქართველ მამულიშვილთა მთელ დასს. ამ დასმა ხორცი შეასხა ბაგრატიონთა დინასტიის შესაძლებლობას, უნარს, სურვილს და, რაც მთავარია, მტკიცე ნებას სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს სამეფოდ წოდებულ ქვეყანას და მართლმადიდებელ ქართველ ერად წოდებულ ეთნოსს. ერთი სიტყვით, შეუძლებელი იყო საქართველოს გაერთიანება ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და, უპირველესად, სულიერ-სარწმუნოებრივი წანამძღვრების გარეშე, რაც აღსრულდა კიდევაც. თუმცა, გაერთიანების პროცესის დასრულების შემდგომაც სარწმუნოებრივი საკითხი გამორჩეულად ინარჩუნებდა მნიშვნელობას და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში კვლავაც იყო წინ წამოწეული მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავლენა ეროვნულ თვითშეგნებაზე. ამას ზედმიწევნით წარმოაჩენს XI-XII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა ნააზრევო.

ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ამ მოძღვრებისა და კონცეფციის“ ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატველი იყო გიორგი მთაწმინდელი. ქრონოლოგიურ რიგს თუ მივეყვებით, ამ ეპოქაში გიორგი მთაწმინდელი პირველი მოღვაწეა, ვინც გააჟღერა ეს დებულება: **„ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და... მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი... და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი და ყოველთა უარის მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და დავსწყევთ.**

ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოციქულთასა მტკიცე ვართ... რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს არლარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯვლ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს” (ქართული პროზა; 1981, გვ. 465-486).. აქ სრულიად მკაფიოდ და ნათლად არის გაცხადებული - XI საუკუნისთვის ქართველი ერი ურყევად აღიარებდა მართლ-მადიდებლობას და, ღვთის წყალობით, ყოველგვარი მწვალებლობისგან მტკიცედ იცავდა საკუთარ მრწამსს – ასეთი იყო სამეფო კარის ნება. მართლმადიდებლობას ახსენებს XI საუკუნის II ნახევრის ფილოსოფოს-ფილოლოგი და მთარგმნელი ეფრემ მცირეც, ვინც თავის „უწყებად“-ში აღძრავს ამ საკითხს. „**არს-მცა და ჰგიეს მარადის საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისა მისისასა ვიდრე მოაქამომდე უცვალებელად დაცული ნათესავი ჩუენი**” („უწყებად”; 1959, გვ. 53) - ამბობს იგი. ანუ ქართველი ერი არსებობდა მართლმადიდებლობის მრწამსით და იყო მარად, უცვლელად დაცული „საფარველით” ჭეშმა-რიტი სარწმუნოებისა. ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში დიდი ყურადღება ეთმობოდა „ბერძენთა სიყვარულისა და ერთობის” საკითხს, რაც გამოიხატებოდა მართლმადიდებლობისადმი ერთგულებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს „ისტორიული დებულება”, ჩამოყალიბებული გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ, დააკანონეს 1103 წლის რუის-ურბნისის კრებით. თუმცა კრების მიერ ამ დებულების აღიარებამდე სხვა ქართველი წარჩინებულნიც მოუწოდებდნენ „ბერძენთა სიყვარულისკენ”. გრიგოლ ბაკურიანის ძე (+1086) ბაკურ ერისთავთ-ერისთავის შვილი, ბიზანტიის იმპერიის გამორჩეული მხედართმთავარი, იბერიის თემის დეჟა, დასავლეთის (ბალკანთი) დიდი დომესტიკოსი და ბოლოს, სევასტოსი თავისი მოღვაწეობისას ასევე ზრუნავდა და მოუწოდებდა ქართველებს მართლმადიდებლობის ერთგულებისკენ. გრიგოლმა შექმნა მის მიერვე ბულგარეთში დაარსებული პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი (1083 წ.), სადაც წვრილად ჰყვება, თუ რას უნდა ნიშნავდეს ქართველისთვის „ბერძენთა მოწაფეობა”. იგი იუწყება, რომ ქართულ სავანეში არასოდეს უნდა ემსახურა ბერძენ ხუცესს ანუ მონაზონს, თუკი ამის საჭიროება არ არსებობდა. ასეთ საჭიროებად კი იგი მიიჩნევდა მონასტერში გადამწერის აუცილებლობას, ვისაც ეცოდინებოდა ბერძნული ენა. სევასტოსი ხსნის კიდევაც, რამ გამოიწვია ტიპიკონში ამ შინაარსის მუხლის გაჩენა. მისი თქმით, ეს განპირობებული იყო ბერძენთა ბუნების არსით – ისინი ყოფილან მძლავრი, ანგარებიანი და არსებობდა ექვი, რომ მათ შეეძლოთ მონასტრისთვის მიეყენებინათ „სავნებელი და რაიმე დასაკლებელი”. თუმცა, სევასტოსი იქვე შემდეგნაირად ასრულებს საკუთარ დარიგებებს: „**თუ არა, ნებითა ღმრთისაჲთა, ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსარებელნი და მოწაფენი მათნი**“ (შანიძე, 1971, გვ. 172). გრიგოლ ბაკურიანის-ძემ ამ ნათქვამით აჩვენა, რომ იგი აზროვნებდა სახელმწიფოებრივად - ბერძენთა მანკიერ ბუნებასთან შედარებით ქართველებს უფრო მაღლა უნდა დაეყენებინათ ერთიანი სარწმუნოებრივი ფაქტორი და ასე განეჭვრიტათ ბერძნებთან ურთიერთობა. ამას მოითხოვდა ერის სულიერების ერთ-ერთი ბურჯის - სარწმუნოების

საკითხის მოგვარება - „ვართ მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი და აღმსარებელნი და მოწაფენი“!

წინაპართაგანასეთისულიერ-ზნეობრივიმემკვიდრეობამიილოტახტზე ასულმა დავით აღმაშენებელმა. ამ იდეოლოგიის საფუძველზე გააგრძელა მეფემ თავისი მოღვაწეობა, რათა ქართველები ჩამოყალიბებულიყვნენ როგორც ერი. ეს მემკვიდრეობა გულისხმობდა:

1. „ჩვენცა ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესა“
2. „სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხყოფთ და სიყვარულსა ბერძენთა ნუ დაუტეობთ“ (ვახტანგ გორგასალი)
3. „ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობა“ (წმ. რაქდენის აგიოგრაფი)
4. „ქვეყანა იგი სავსეა ქრისტეს სარწმუნოებით“ (იოანე საბანისძე)
5. „მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოცი-ქულთასა მტკიცე ვართ“ (გიორგი მთაწმინდელი)
6. „ნებითა ღმრთისადათა ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსარებელნი და მოწაფენი მათი“ (გრიგოლ ბაკურიანისძე)
7. „ჰგიეს მარადის საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისასა მისისა [ქრისტესი] უცვალებლად დაცვული ნათესავი ჩუენი (ეფრემ მცირე)

დავითის ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ მეფე დავითმა შეისმინა და ჰპოვა „გონიერად დედად სიბრძნისა შიში უფლისა“ [ქ.ცხ.; 1955:347]. ეს სიბრძნე მას სჭირდებოდა ქვეყნის აღმშენებლობისათვის, ერის ასა-ღორძინებლად. ამიტომაც იყო, რომ მეფემ შეიყვარა და შეითვისა საღვთო წერილი - „რამდენიც პპოვა ქართულ ენაზე გადმოღებული სხვა ენებიდან, ისინი იყვნენ მისი საზრდელი, შვება“ [მეუფე ანანია; 2022]. იგი ეუფლებოდა შიშსა ღვთისა - ყველა სათნოებისა და სიბრძნის დასაბამს, რათა გონიერებით ემართა ქვეყანა, და ყოველივეს იქმოდა უმაღლესი სახელოს მქონე სასულიერო პირებთან ერთად. ამასთან, მეფემ იცოდა, თუ რა იყო „მართალი რწმენა“ და რას ნიშნავდა „კათოლიკე ეკლესია“. დავით IV აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის კრების წესდებიდან ცხადლივ ჩანს მეფის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი: „არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო... არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო“ - წერია ტექსტში. კათოლიკე ეკლესიის შეურყევლობისა და სიქადულად ქეული მართლმადიდებლობის ერთგულება გახდა მთავარი თეზა კრებისა. „რწმენითა მართლითა“ მეფე უპირისპირდებოდა მონოფიზიტ სომეხებს, რასაც მოწმობს დავით აღმაშენებლის მიერ ორგზის მოწვეული საეკლესიო კრება. პირველზე მან არაკებითა და იგავებით ისე გასცა პასუხი სომეხ ეპისკოპოსებს, რომ მათ აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი. ხოლო მეორე კრებაზე, რაც ჩატარდა სომეხთა თხოვნით ქ. ანისის აღების შემდეგ, მეფემ მოისურვა მონოფიზიტები მოექცია ჭეშმარიტ რწმენაზე და თავდაპირველად მოახერხა კიდეც - სომეხი სასულიერო პირნი დაეთანხმნენ ქართველ მეფეს, დაჰყვნენ მის ნებას. თუმცა, შემდგომ, მონოფიზიტებმა გადაათქმევინეს თავიანთ ეპისკოპოსებს და ამიტომ მეფემ კრება დაშალა. არ იხვედა უკან დავით IV არც სხვა მწვალებლობის საკითხის

გადაჭრისას, რაც მისი ზეობის დროს კვლავაც მოსაგვარებელი ჩანდა.

ასეთ ვითარებაში, როდესაც დავით აღმაშენებელი შეურყეველი იყო მართლმადიდებლური რწმენის დაცვისას, მახლობელ აღმოსავლეთში გამოჩნდნენ დასავლეთევროპელი კათოლიკნი და ამ მოძღვრების წიაღში წარმოქმნილი სხვადასხვა ერესის მიმდევარნი. მკვლევართა მიერ დავით IV აღმაშენებლის კავშირი ჯვაროსნებთან სათანადო ისტორიულ წყაროთა მონაცემებზეკარგახანია, რაც გარკვეულია (ს. ბარათაშვილი, ზ. ავალიშვილი, შ. ბადრიძე, გ. გოზალიშვილი, შ. მესხია, რ. მეტრეველი, ს. მარგიშვილი....) და გაცხადებულია, რომ ეს კავშირი იყო დროებითი, ტაქტიკური ხასიათისა და არ გადაზრდილა ერთიან ხედვაში, თუ როგორ უნდა წარმართულიყო მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური პროცესები და ურთიერთობანი სხვადასხვა აღმსარებლობის ეთნოსებს შორის. ეს გასაგებიცაა, რადგან საქართველოს და ლათინური სამეფო-სამთავროების მესვეურთა მიზნები არ იყო თანხვედრი და, რაც მთავარია, მათი სახელმწიფოებრივი კონცეფცია გახლდათ ურთიერთმიუღებელი. დასავლეთიდან მახლობელ აღმოსავლეთში შემოდიოდა მართლმადიდებლობის უარმყოფელი იდეოლოგია კათოლიციზმის სახით - 1054 წელს უკვე შემდგარი იყო კრება და ამ ორ სამყაროს შორის აღმართული იყო „სქიზმა“ - საბოლოო ეკლესიური განხეთქილება.

სხვადასხვაენოვან წყაროებში მოიპოვება არაერთი ცნობა, საიდანაც პირდაპირ თუ ირიბად დასტურდება, რომ ქართველთა და ჯვაროსნების განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ბიზანტიის, და, საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის საკითხებისადმი მომდინარეობდა მათი ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიურ-რელიგიური მოძღვრებებიდან. XI საუკუნის მიწურულს რომის პაპისა და დასავლეთევროპელი ჯვაროსანი პილიგრამების მოწოდება წმ. მიწის ურჯულოთაგან გათავისუფლებისაკენ გულისხმობდა ისეთ ფართო სპექტრს დამპყრობლური ღონისძიებებისა მახლობელ აღმოსავლეთში, რომ მათი ქმედებების დაწყებიდანვე გაცხადდა ჯვაროსანთა ნამდვილი მიზნები - მათ სურდათ ჯერ დაემხოთ ბიზანტიის იმპერია - „სქიზმატიკოსთა“ მთავარი ბურჯი და შემდგომ განეზრახათ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა, რომელთა შორის ერთ-ერთ დასაპყრობ პოლიტიკურ ერთეულად სახელდება საქართველოს (აღ. იბერია) სამეფოც [Византийские истории, 1860:351]. ჯვაროსანთა ლაშქრობები მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ყოფით-პრაგმატული გეგმების განხორციელებას, არამედ იგი გულისხმობდა „სქიზმატიკოსი“ ერების წინააღმდეგ იდეოლოგიურ შეტევას, რათა საყოველთაოდ დაემკვიდრებინათ კათოლიციზმი მახლობელი აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ქვეყნებში. ამგვარი ძალისმიერი პოლიტიკა ჯვაროსანთა მეფე-მთავრებისა და, უპირველესად, რომის პაპის უნიისა მიუღებელი რომ იყო საქართველოს მესვეურთათვის, კარგად ჩანს, „ქართლის ცხოვრება“-ში დაცული ცნობებით.

დავიწყოთ იმით, თუ როგორ ახასიათებს დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრე მეფის დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, ბერძენთა იმპერატორისადმი და, მეორე მხრივ, ლათინი მეფე-მთავრების მიმართ. იგი

აჯამებს დავით IV-ის მეფობის შედეგებს („საქმენი წამებენ მზისა შარავან-დთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვსითა ქმნა“) და აცხადებს: „დასუა... მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვსი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 351). სხვაგან ასევე გრძელდება ჩამონათვალი მეფის „საქმეთა“, რომელთაგან ამჯერად გამოვყოფდით შემდეგს: „მოსრნა ბარ-ბაროზნი, დასცნა წარმართნი... [მეფისა] აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთის და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი...“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 361). ამ მოკლე დახასიათებიდან წარმოჩნდება, თუ რა პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნები ჰქონდა მეფეს. მან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ მწვალებლობას და „დასცნა დამოსრნა“ იგი. შემდეგ დავით IV-მ ჯვაროსან მეფე-მთავრებთან დაამყარა ისეთი კავშირი, რაც თავსდებოდა დიპლომატიური სფეროს ფარგლებში და არ გაცდილებია მის საზღვარს - იგი არ შეცვლილა ხანგრძლივი პოლიტიკური თუ სამხედრო კავშირით. ამას მოწმობს ქართველი მემატიანეს მიერ ჩამოთვლილი „ტომნი და ენანი“, რომელნიც სახელდებიან „ფრანგეთისან“-თან ერთად და ვინც იყვნენ შეკრებილნი დავით აღმაშენებლის „აჩრდილსა“. ესენი არიან ოვსეთის, ყივჩაყეთის, სომხეთის, შარვანისა და სპარსეთის „მეფენი და ხელმწიფენი“, რომლებსაც საქართველოს მეფესთან, ვითარცა სიუზერენთან, აკავშირებდა ვასალური დამოკიდებულება. მემატიანემ სწორედ მათ გვერდით მიუჩინა ადგილი „ფრანგეთისანთა“ მეფე-მთავრებს, მათ რიგში ჩააყენა ისინი. ქართულ წყაროში სრულიად გარკვევითაა ნაჩვენები, თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა დავით IV აღმაშენებელს ჯვაროსნებთან. ლევანტის კათოლიკი მეფე-მთავრები ბიზანტიის იმპერატორის მსგავსად არ სახელდებიან საქართველოს მეფის „სახლეულებად“.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის „სიბრძნითა თვსითა ქმნა“-დან გაცხადდა, რომ საქართველოს სამეფო კვლავაც ვითარდებოდა „ჩვეულებისაებრ მამულისაჲ სვლითა“ და სახელმწიფო იდეოლოგია მყარად დაეფუძნა „მართალსა სადიდებელსა ქრისტესი“.

დავით აღმაშენებლის იდეოლოგიური პოლიტიკა, ხატოვნად წარმოჩენილი ფრაზით „ბერძენთა დასმა ვითარცა სახლეული თვსი“, პირდაპირ ეხმიანება და მომდინარეობს ვახტანგ გორგასლის ანდერძად დატოვებული სახელმწიფო სტრატეგიიდან: „სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხყოფთ და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“. მხოლოდ ამგვარი, ტრადიციად ქცეული იდეოლოგია გადაარჩენდა „სახლს შეურაცხყოფისგან“ - საქართველოს სამეფოს დაღუპვისაგან. აქვე ჩნდება კითხვა, დასტურდება თუ არა ამ იდეოლოგიური ტრადიციის არსებობა მეფე დავითის დროინდელი ან უფრო გვიანდელი საუკუნეების წყაროთა მონაცემებით.

წმ. მიწაზე ჯვაროსანთა გამოჩენისთანავე გაცხადდა დასავლეთევროპელთა ფარული ზრახვანი, რამაც გამოიწვია სარწმუნოებრივი დაპირისპირება აღმოსავლეთის მართლმადიდებლებთან. როდესაც ლათინები 1097 წელს დაეუფლნენ ანტიოქიას, მათ განდევნეს მართლმადიდებელი პატრიარქი და ანტიოქიის სამწყსო დაუქვემდებარეს ლათინ პატრიარქს, მართლმადიდებელ ანტიოქელებს კი აიძულებდნენ დამორჩილებოდნენ

კათოლიკ სასულიერო ხელისუფლებას. ასევე მოიქცნენ ჯვაროსნები 1099 წელს ქ. იერუსალიმის აღებისას. მათე ურჰაელის ცნობით, ამ წელს ჯვაროსნებმა მაცხოვრის საფლავის ეკლესიიდან ბერძნებთან და აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანებთან ერთად გააძევეს ქართველებიც. იერუსალიმის პატრიარქები იძულებულნი იყვნენ ეკლესია ემართათ კონსტანტინოპოლიდან. მაგრამ მართლმადიდებლები მაინც ეწინააღმდეგებოდნენ ჯვაროსნებს, რის გამოც I ლაშქრობის მეთაურებმა რომის პაპ ურბან II-ს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც მოუწოდებდნენ მას თავად მოეგვარებინა „ერეტიკოსებთან“ (მართლმადიდებლებთან) საკითხი (მაჭარაშვილი, 2014, გვ. 129,144). ე.ი. დაპირისპირება კათოლიკთა და მართლმადიდებლებისა იყო იმდენად ძლიერი, რომ ჯვაროსნებმა თავად ვერაფერი გააწყეს და პაპისგან ითხოვდნენ შემწეობას. თქმა არ უნდა, ამ ე.წ. ერეტიკოსებში ქართველებიც იგულისხმებიან, რომლებიც წმ. მიწაზე ფლობდნენ 35-მდე ეკლესიასა თუ მონასტერს, ამ ცენტრებში მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა. ამას გარდა, არსებობდა ქართული დასახლებები თუ სოფლები (მალხა, კაკული, კატამონი, ჯალჯალა და სხვ.), რომლებიც სხვადასხვა დროს იქ დამკვიდრებულმა ქართველებმა დააარსეს. ასე რომ, იმ ხანად ქართველები წმ. მიწაზე საერთო მართლმადიდებლურ სათვისტომოში თავიანთ გამორჩეულ ადგილს იკავებდნენ.

უნდა ითქვას, I ლაშქრობის დროს ლათინთა ძალმომრეობას გადაურჩა ჯვრის მონასტერი და იგი შეინარჩუნეს ქართველებმა. საკითხავია, რით უნდა აიხსნას, რომ ჯვაროსნებმა ქრისტეს საფლავის ეკლესიიდან სხვებთან ერთად გააძევეს ქართველებიც, ხოლო ქართველთა მიერ დაარსებული ჯვრის მონასტერი ხელშეუხებელი დარჩა. ხომ არ უკავშირდებოდა ეს დავით აღმაშენებლის მითითებით წარმართულ ლაშქრობას წმ. მიწაზე, რის შესახებ იუწყება როგორც ქართული წყარო, ასევე უცხოეთში შექმნილი თქმულება? „ისტორიანი და აზმანი“ შარავანდედთანი“-ს ტექსტში ხატოვნად წერია, რომ დავით აღმაშენებლის სპა იერუსალიმში იბრძოდა „წყობათა დავითისთა“ ერთად, ანუ დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან ერთად (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 69). დაახლოებით იმავე აზრს გადმოგვცემს ერთი მოარული ამბავი, რომლის მიხედვით, მეფე დავით IV-ს ზღვით გაუგზავნია ქართველთა რაზმები წმ. მიწაზე საბრძოლველად (პლ. იოსელიანი). ცნობა ამ ორი წყაროდან, რომელთაგან ერთი შექმნილია აღმაშენებლის ზეობიდან საუკუნის შემდგომ, ხოლო მეორე შემორჩენილია თქმულების სახით, უნდა ცხადყოფდეს, ჯვრის მონასტრის გამო თავი გამოიღო არა მხოლოდ წმ. მიწის ქართველთა მოსახლეობამ, არამედ მეომრები საქართველოს სამეფოდანაც უნდა გაეგზავნათ იერუსალიმს. მართლაც, ჯვრის მონასტერი ქართველთათვის განსხვავდებოდა ქრისტეს საფლავის ეკლესიისგან იმით, რომ იგი დააარსა მეფე მირიანმა და შემდეგ პეტრე იბერმა პირველად განაახლა V საუკუნეში, ე.ი. ეს მონასტერი დაარსებული იყო ქართველთა მიერ. ჩანს, I ჯვაროსნული ომის დროს ქართველებს ჯვრის მონასტერი ისეთი თავგამოდებით უნდა დაეცვათ, რომ ჯვაროსნებმა მას ხელი ვერ ახლეს და ვერ დაისაკუთრეს. თუკი ეს ასეა, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ მეფე დავით IV-ს, ვისთვისაც ჯვრის მონასტერი წმ. მიწაზე განასახიერებდა ეროვნულ

სიმბოლოს „მართალი რწმენისა“, განსაკუთრებული ზომები უნდა მიეღო, რათა იგი ხელთ არ ჩავარდნოდა არამართლმადიდებელ ჯვაროსნებს. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ I ჯვაროსნული ლაშქრობის განმავლობაში დავით აღმაშენებლის სახელი აღარ უკავშირდება წმ. მიწაზე წარმოებულ სხვა ბრძოლებს და ქართველთა სპა სახელდება მხოლოდ იერუსალიმის გათავისუფლების დროს. მეფისთვის ჯვრის მონასტრის გამორჩეულობა დასტურდება იმ ცნობითაც, რომლის თანახმად, 1102-1103 წლებში დაზიანებული მონასტერი 1106-1108 წლებისთვის რუს წინამძღვარს, დანიელს უკვე უხილავს აღდგენილი, განახლებული და ფრესკებით მოხატული. ერთი სიტყვით, ზემომოხმობილი ცნობებით დავით აღმაშენებელი წარმოჩნდება როგორც დამცველი „ქრისტეს მართალი დიდებისა“ და იგი ამ იდეოლოგიას განუხრელად ამკვიდრებს სამეფოს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. მეფე დავით IV ამ იდეოლოგიის შესატყვისად მოქმედებდა მონოფიზიტ სომხებთან თუ კათოლიკ ჯვაროსნებთან ურთიერთობისას - მისი სახელმწიფოებრივი კონცეფცია ეფუძნებოდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას.

კიდევ ერთი მაგალითი, საიდანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი ჯვაროსან მეთაურებთან კავშირებისას ითვალისწინებდა მათ შორის არსებული განსხვავებული აღმსარებლობის ფაქტორს, შემონახულია რაინოლდ რორიჰტის ნაშრომში „იერუსალიმის სამეფოს ისტორია (1100-1291)“. აქ მოთავსებული ცნობის მიხედვით, „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეფე ბალდუინს (+ 1118) ხშირად უგზავნიდა საჩუქრებს“ (ავალიშვილი, 1988, გვ. 48). მკვლევარი მ. წურწუმიასამართლიანად შენიშნავს, რომ ამ ინსიგნიებში უნდა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლებში ნაალაფარი, მულიმური ქვეყნების დროშები. ამ მართებული მიგნების შემდეგ, ავტორის აზრით, აღმაშენებელი ინსიგნიებს უგზავნიდა მეფე ბალდუინს ნიშნად იმისა, რომ იგი მზად იყო ჯვაროსნებთან ერთად ებრძოლა მუსლიმი ამირების წინააღმდეგ. თუმცა, აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი - საქართველოს მეფე დავით IV არ ებრძოდა ზოგადად მუსლიმურ სამყაროს, მაშინ, როცა ჯვაროსნების მიზანი იყო ერთიანად დაეპყროთ მულიმები. დავით აღმაშენებელი ებრძოდა მხოლოდ იმ მომხდურ მუსლიმებს, ვისაც განუზრახათ მის სამეფოზე თავდასხმა. წინააღმდეგ ამისა, ჯვაროსნები ერთნაირად უტევდნენ და ხოცავდნენ მართლმადიდებლებს, იუდეველთა და მუსლიმებსაც, ყველას, ვინც წმ. მიწაზე ცხოვრობდა (ჯაველიძე, 2024, გვ. 90-95]. ამიტომაცაა გაცხადებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ქართველთა და ჯვაროსანთა მიზანი და სული ერთი არ იყო“. მეტიც, ეს „სული“ ორივე მხარისთვის იყო ურთი-ერთმიუღებელი. გამომდინარე აქედან, ვერ გავიზიარებთ აზრს იმის თაობაზე, რომ აღმაშენებლის მიერ ინსიგნიების გაგზავნა გულისხმობდა ჯვაროსანთა შეგულიანებას და მათთან ერთად მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს. სინამდვილეში, დავით IV-ს ამ ინსიგნიებით უნდა „შეეხსენებინა“ ჯვაროსანი მეფე-მთავრებისათვის, თუ რას წარმოადგენდა მისი სახელმწიფო დარისი ძალა შესწევდა თავად საქართველოს მეფეს. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ დავით აღმაშენებლის, ვისაც ბიზანტიის იმპერა-

ტორთან აკავშირებდა სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური „სახლეულობა“, თვალწინ ხდებოდა ის ძალმომრეობა, რითიც კათოლიკმა ჯვაროსნებმა თავი იჩინეს „სქიზმატიკოს“ ბერძენთა მიმართ. აქვე შევნიშნავ, თანამედროვე ქართველი მკვლევარი, იმის საჩვენებლად, რომ დავით აღმაშენებელსა და ჯვაროსნებს შეუძლებელია არ ჰქონოდათ მჭიდრო პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები, ასახელებენ დასავლეთევეროპული ეპისტოლარული თუ სხვა სახის მწერლობას, საიდანაც „დავით მეფე ქართველთა კასპიის კარის დაჭერით ზღუდავდა გოგსა და მაგოგს და მისი სამეფო იყო წინა ზურჯი დასავლეთი ევროპისთვის“ (წმ. საფლავის კანტორი ანსელუსი). სხვაგან დავით IV დახასიათებულია როგორც „ჭემმარიტი და სრული ქრისტიანი“, რომელმაც დიდგორის ომში 200 ფრანგი მეომარი დააყენა მეწინავედ და მათი მეშვეობით გააქცია მტერი (კანცლერი გოტიე). იგი შედარებულია წარმოსახულ „იოანე ხუცესს“ და სხვ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქართველ მეფეს აქებენ და აღმატებულად მოიხსენიებენ ევროპულ ქრონიკებსა თუ თქმულებებში და მას ადარებენ მითიურ გმირს, ვერ გამოდგება დასტურად, რათა განვაცხადოთ დავით IV აღმაშენებლისა და ჯვაროსანთა მჭიდრო პოლიტიკური კავშირები. ასეთი შორსმიმავალი დასკვნისთვის საჭიროა უტყუარი ფაქტების არსებობა. გამომდინარე ზემოთქმულიდან, უნდა განვაცხადოთ, რომ შუა საუკუნეების ლათინურ ქრონიკებში წარმოჩენილი ჰეროიკული სახე დავით აღმაშენებლისა, რის საფუძველზეც შესაძლებელია, ვივარაუდოთ ქართველ მეფესა და ჯვაროსნებს შორის ოდენ გარკვეული სახის კავშირები, ვერ გამოდგება იმის დასტურად, რომ საქართველოს მეფესა და ლევანტის ლათინ მმართველებს ერთმანეთთან აკავშირებდა მჭიდრო, მუდმივი სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სამეფო უნდა ემართა წინაპართაგან ხორცშესხმული, ტრადიციად ქცეული იდეოლოგიით და ერი უნდა განვითარებულიყო „მართალ აღმსარებლობაზე“ დაფუძნებული სულიერებით. საქართველოს მეფისთვის სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ გზასავალზე მიუღებელი იყო ჯვაროსნების „გვერდით ყოფნა“, ვინც ბიზანტიის იმპერიას ემუქრებოდნენ დამხობით. მათთან თანამშრომლობა ვერ თავსდებოდა „ბერძენთა სიყვარულის“ (მართლმადიდებლობა) დებულების ფარგლებში. მეფე დავით IV აღმაშენებელმა გაცხადებულად წარმოაჩინა თავისი პოზიცია, მიმართული საქართველოს სამეფოს შინაგანი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად („მოისურვა სომეხთა და ქართველთა შეერთება“) და საგარეო სფეროში იდეოლოგიური პოლიტიკის განსახორციელებლად - „დასუა ვითარცა სახლეული თჳსი“ ბიზანტიის იმპერატორი, ხოლო მეფენი „ფრანგეთისანი“ ადგილს იმკვიდრებენ მის „აჩრდილს“ შეკრებილთა შორის.

დავით აღმაშენებელი ერთგულად აგრძელებდა მირიან მეფის მიერ დაწესებულ ტრადიციას ქრისტეს „მართალი დიდებისა“, რაც გაჟღერდა გორგასლის ანდერძით „ბერძენთა სიყვარულისა“. ამ მოძღვრებაზე დაფუძნებული, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა გამორიცხავდა დავით IV აღმაშენებლის სტრატეგიული ხასიათის თანამშრომლობას კათოლიკ ჯვაროსნებთან.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

- ავალიშვილი, ზ. (1989). *ჯვაროსანთა დროიდან*. თბილისი.
- გეორგიკა. (1941). ტ. IV, ნაწ. I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.
- გეორგიკა. (1965). ტ. II, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.
- ვარდოსანიძე, ს. (2022). *ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის პრობლემები*. მაცნე, (#1) ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.
- მაჭარაშვილი, გ. (2014). *დიდი სეიზმა და საქართველო (ისტორიის დოქტორი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია)*. თბილისი.
- მეუფე ანანია. (ჯაფარიძე). (2022). *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*. ტ. III. თბილისი.
- პაპასკირი, ზ. (2009). ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X ს-ის I ნახევარი). „ისტორიანი“. თბილისი.
- იოანე საბანისძე, (1981), *ჰაბოს წამება. ქართული პროზა*. თბილისი.
- სრული აღწერად ღუაწლთა ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გადმოცემული გობრონ საბინინის მიერ, პეტერბურდი, 1882.
- უწყებად მიზეზის ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოხსენების* (1959). გამოსცა თ. ბრეგაძემ. თბილისი.
- ჯუანშერი. (1955). *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება*. ტ. I. თბილისი.
- გიორგი ხუცესმონაზონი. (1981). *ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ქართული პროზა. წიგნი I*. თბილისი.
- შანიძე, ა. (1971). *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1979). *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. I. თბილისი.
- ჯაველიძე, ნ. (2024). *დროშა სამეფო*. თბილისი.
- Византийские истории. (1860). *переведенные с греческого при Санкт-Петербургской духовной Академий, т. 2*. Санкт-Петербург.
- Иоселиани, П. (1843). *Краткая история грузинской Церкви*. Изд. II. Санкт-Петербург.

Nino Javelidze

Dedicated to Neli Makharadze, Byzantinologist,

Doctor of Philological Sciences

“LOVE OF THE GREEKS” AND “THE HOUSE OF THE KING OF THE GREEKS”

Abstract

According to Ivane Javakhishvili, the integrity of the royal power and the indivisibility of the supreme spiritual hierarchy were necessary conditions for the preservation of medieval Georgian statehood. He attached equal importance to the steadiness of these two pillars. Moreover, importantly, the researcher evaluated the expansion of the borders of the Mtskheta Catholicosate and its extension to Likhi-Imereti region in the early 7th century as a prerequisite for the unification of the whole Georgia: **“... thus the political unification of Eastern and Western Georgia was preceded and given the ground by a much earlier process of ecclesiastical unity and integrity”**. The researcher, therefore, called the gravediggers of Georgia all those who tried to get detached from the Mtskheta Catholicosate and create an independent, separate flock (of Meskheta, Western Georgia). This analysis shows that Ivane Javakhishvili considered unacceptable the “long-term” development of the Georgian nation without the Georgian Orthodox Apostolic Church. The kings of united Georgia realized that Orthodoxy was the foundation on which the spirituality of the Georgian nation rested and viewed the concept of religious faith in the rank of ideological policy of the state. This ideology inspired them both at home - to ensure the security of the country, and in the international arena - to strengthen the defense of the state.

Keywords: Orthodox, Unity and love of Greek people, Greek’s King in David IV Royal Family.